ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №547002

ნომერი: AR1108934

თარიღი : 12.02.2013

გაცემის თარიღი : 15.02.2013

გაცნობის თარიღი : 26.02.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 75 , მეტრო "ვარკეთილი"-ს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დათიაშვილი პ/ნ 60001043041
- ქუთაისი ს.თოფურიას ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ აღნიშნულის განხორციელება სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:

- "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ატვირთული გაქვთ საჯარო რეესტრის ამონაწერი მისამართით ჯავახეთის ქუჩა #75, ხოლო არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე და ფოტომონტაჟზე მითითებულია ჯავახეთის ქუჩა #44. ასევე ფართის მესაკუთრე შპს "დავითი, გიორგი და კომპანია" თანხმობას გაძლევთ ჯავახეთის ქუჩა #44-ში სარეკლამო აბრის განთავსებაზე. გთხოვთ აღნიშნული მოიყვანოთ შესაბამისობაში და საპროექტო ობიექტის კონკრეტულ მისამართზე აიტვირთოს შესაბამისი მისამართის არსებული სიტუაციის ფოტო სურათი, ფოტომონტაჟი და მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.